საქართველოს პრემიერ-მინისტრს,

ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს მასწავლებელთა

საინიციატივო ჯგუფის

წ ე რ ი ლ ი

ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 19 ივნისს გამოქვეყნებული ბრძანების, N 108/ნ **„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“,** თანახმად გამოქვეყნებულმა სახელფასო პოლიტიკამ მასწავლებელთა დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

სახელფასო პოლიტიკის თანახმად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საბაზო ხელფასის მატების კუთხით, საათის ღირებულების გაზრდით პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურება გახდა მაღალი, რაც მისასალმებელია, თუმცა სახელფასო ანაზღაურების მატების პარალელურად შეიქმნა მთელი რიგი პრობლემები, როგორც ხელფასის მატების კუთხით, ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და მიღწევების გაუფასურებით.

მასწავლებელთა საზოგადოება ფიქრობს, რომ სახელფასო ფორმულის შედგენაში მონაწილე პირებმა გარკვეული მიზეზების გამო ვერ გაითვალისწინეს ქართული სკოლების სპეციფიკა და ინდივიდუალური საჭიროებები. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ნიუანსები, რომლებიც ფორმულის ავტორებს გამორჩათ და მათი გათვალისწინება ვერ მოხერხდა იმ დროში, რომელშიც დაანონსებული იყო ახალი სახელფასო ფორმულის შემუშავება.

პედაგოგთა კორპუსთან შეხვედრისა და დისკუსიისას გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

1. მცირეკონტინგენტიან სკოლებში, საათების დეფიციტის ფონზე, მასწავლებელთა ანაზღაურების მატება უპრეცედენტო ვერ იქნება, რადგან სახელფასო ფორმულით ხელფასის გაზრდა მხოლოდ საათების რაოდენობას უკავშირდება;

2. დაწყებითი კლასის მასწავლებლებს, სახელმწიფოს მოთხოვნით, ჩაბარებული აქვთ კომბინირებული გამოცდა, რომელიც მხოლოდ

სახელმწიფო ენას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას მოიცავს. ამ საათების კვირეული ჯამი კი 13-14 საათი გახლავთ. სკოლების უმტეს ნაწილში დაწყებითი კლასების მასწავლებლები მხოლოდ ამ საგნებს ასწავლიან, შესაბამისად, მათი სრული დატვირთვა აღნიშნული რაოდენობის საათებით განისაზღვრება. სწორედ ამ ფაქტორისა და დაწყებითი კლასების ურთულესი სპეციფიკის გათვალისწინებით, აბსოლუტურად მართებული იქნება მათთვის სრულ დატვირთვად განისაზღვროს 13 საათი და მიეცეთ სრული განაკვეთის შესაბამისი საათობრივი ანაზღაურება და დანამატები.

სკოლების ნაწილში კი დაწყებითი კლასების პედაგოგები ასწავლიან სხვა საგნებსაც (მე და საზოგადოება, ხელოვნება, მუსიკა, სპორტი) შესაბამისი საგნობრივი სპეციალისტების დეფიციტის გამო, ან/და დირექციის გადაწყვეტილებით, იმისათვის, რომ ახალი წესით დაუანგარიშდეთ დაუდასტურებელი საგნები, უწევთ, დამატებით ჩააბარონ კიდევ რამდენიმე გამოცდა საათების შესავსებად.

3. დაწყებითი კლასების პედაგოგებს ახალი წესით დაანგარიშება არ შეეხოთ ჭადრაკის სწავლების შემთვევაშიც. ამ საგნის სწავლების უფლების მოსაპოვებლად მათ გაიარეს ტრენინგები და აიღეს საგნის სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატები. ამ საგანში არ ჩატარებულა გამოცდა (ისევე როგორც საგან მე და საზოგადოებაში) შესაბამისად, პედაგოგებიც ვერ დაადასტურებდნენ საგნობრივ კომპეტენციას. ახალი სახელფასო ფორმულით, მათ არ ეთვლებათ აღნიშნული საგანი დადასტურებულად და ხელფასი დაუდასტურებელი საათების ღირებულებით განისაზღვრა. პრობლემა საჭიროებს შესწავლას და სახელფასო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას.

4. არაქართულენოვანი სკოლებისთვის დაწყებითი საფეხურის კომბინირებული გამოცდა (მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV)) არ არსებობს მათს მშობლიურ ენაზე. შესაბამისად, თუ არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს საგნის გამოცდის ჩაბარება და უფროსის სტატუსის მოპოვება უნდა, გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში უნდა ჩააბაროს და არა იმ საგანში, რომელსაც სკოლაში ასწავლის (აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა...). სტატუსის მოსაპოვებლად ჩააბარო ის საგანი, რომელსაც არ ასწავლი, არამარტო რთულია, არამედ არალოგიკურიც და დისკრიმინაციულიც. შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დაწყებითი საფეხურის კომბინირებული გამოცდის ჩაბარება და უფროსის სტატუსის მოპოვება არ შეუძლიათ და არც ხელფასი მოემატებათ ახალი სახელფასო ფორმულით, რაც, ვფიქრობთ, უსამართლობაა.

5. ასევე სავალალოა საბუნებისმეტყველო საგნებისა და მეორე უცხოური ენის პედაგოგთა ბედი, რადგან მცირეკონტინგენტიან სკოლებში მათი დატვირთვა ვერ აღწევს 15 საათამდე.

6. სტატუსის მიხედვით მასწავლებლები იყოფიან უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებად. თითოეული სტატუსის მოსაპოვებლად პედაგოგებმა დააკმაყოფილეს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, შესაბამისად, სახელმწიფომ აღიარა მათი საქმიანობა და მიანიჭა კვალიფიკაცია, რაც წახალისებული იყო შესაბამისი დანამატით. ახალმა სახელფასო ფორმულამ კი სამივე სტატუსის მქონე მასწავლებლები დააზარალა და მათ მიერ გაწეული შრომა ავტომატურად უგულებელყო, კერძოდ, უფროსი მასწავლებლის სტატუსი დანამატიანად აღარ ფიგურირებს დოკუმენტში. ფორმულის გათვალისწინებით, წამყვან-მენტორ მასწავლებელთა სტატუსის დანამატი მესამედამდე შემცირდა. მართალია, საბაზო ხელფასი გაიზარდა, თუმცა მატება დანამატის ხარჯზე მოხდა და შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი თითქმის არ შეიცვალა. ან, თუ შეიცვალა, ამის საკომპენსაციოდ საჭირო გახდა ორი წლით 200 ლარიანი დანამატის გაცემა, რამაც მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებელთა უმეტეს ნაწილში გულისწყრომა და მოტივაციის დაცემა გამოიწვია.

7. გარდა მორალური ზიანისა, დაწყებითების, საბუნებისმეტყველო, მეორე უცხოური ენისა და სხვ. წამყვან-მენტორ მასწავლებლებს მატერიალური ზარალიც მიაყენა ახალმა სახელფასო ფორმულამ: თუ გავითვალისწინებთ, რომ 2024 წლის იანვარში მასწავლებლების ანაზღაურება 125 ლარით უნდა გაზრდილიყო (ხელზე ასაღები 100 ლარი), 2025 წლის იანვრამდე, ერთი წლის განმავლობაში, მასწავლებელს 1200 ლარი უნდა მომატებოდა. ახალი ფორმულით კი იანვრამდე 157X6=942 ლარს მიიღებენ. 2025 წლიდან ეს ზარალი მზარდია და ორი წლის შემდეგ საერთოდ გაუგებარია ანაზღაურების შემცირების პერსპექტივა.

8. ასევე მნიშვნელოვანია მოწვეული და მაძიებელი მასწავლებლების მდგომარეობის გათვალისწინება. სისტემაში მრავლად გვყავს 1 და 4 კრედიტიანი მასწავლებლები, რომელთაც სახელმწიფომ უფროსის სტატუსი მიანიჭა და სახელფასო მატება შეეხოთ, მაგრამ ასევე გვყავს საგნობრივ კომპეტენცია დადასტურებული პედაგოგები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ასევე მაღალმთიან რეგიონებში გვყავს პედაგოგები, რომლებმაც ვერ დაადასტურეს საგნობრივი კომპეტენცია, მაგრამ კადრების დეფიციტის გამო სკოლამ ვერ გაათავისუფლა ისინი და მოწვეული ან მაძიებელი პედაგოგის სტატუსით ატარებენ

გაკვეთილებს. მოწვეულ და მაძიებელ პედაგოგებს ახალი სახელფასო ფორმულით საერთოდ არ ეხებათ საბაზო ანაზღაურების მატება. ეს იმ ფონზე, როცა გაიზარდა საათობრივი ანაზღაურება, ხოლო მოწვეული ან მაძიებელი პედაგოგის მიერ ჩატარებული გაკვეთილების საფასური ძველი ტარიფით განისაზღვრა, რაც პედაგოგის შრომას აუფასურებს. ვფიქრობთ, ეს მოცემულობა დისკრიმინაციულია.

9. სახელფასო ფორმულა არ ითვალისწინებს კლასის დამრიგებლის ხელფასის მატებას. კლასის დამრიგებლის პოზიცია საპასუხისმგებლო და შრომატევადია, შესაბამისად, ანაზღაურება არ შეესაბამება გაწეულ შრომას.

10. ახალი სახელფასო ფორმულით სპეც. მასწავლებლის ანაზღაურება დამოკიდებულია სსსმ მოსწავლეთა რაოდენობაზე და არ აღემატება 18 საათიანი დატვირთვის შესაბამის თანხას, კერძოდ, სპეც. მასწავლებელს, შესაძლოა, მოეთხოვოს კვირაში 25 საათიანი დატვირთვა, თუმცა მისი ანაზღაურება 18 საათიანი დატვირთვის შესაბამისია. მაგალითად, ამა თუ იმ საგნის მასწავლებლისთვის 25 საათიანი სამუშაო დატვირთვის ანაზღაურება 2350 ლარია, ხოლო ანალოგიური დატვირთვის მქონე სპეც. მასწავლებლის ხელფასი 1344-1790 ლარით განისაზღვრება.

11. ახალი სახელფასო დოკუმენტით დაზარალდნენ კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგები, განსაკუთრებით ისინი, ვინც დასაქმებულნი არიან მცირეკონტინგენტიან სკოლებში.
მცირეკონტინგენტიან სკოლებში კომპიუტერული მეცნიერების მასწავლებელი მხოლოდ 7-8 საათს ატარებს, საათობრივი სარგოს 210-240 ლარის 672-778 ლარამდე გაზრდა ვერ უზრუნველყოფს უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსის დანამატის შემცირების კომპენსირებას.

12. ვინაიდან ფორმულით მასწავლებელთა სახელფასო ზრდა მიბმულია საათობრივ დატვირთვაზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს:
ა) მასწავლებელთა დაპირისპირება საათების გადანაწილების პროცესში;
ბ) გაკვეთილების ხარისხის დაწევა, რაც გამოწვეული იქნება დიდი რაოდენობით საათობრივი დატვირთვით;
გ) არაფორმალური განათლების უგულებელყოფა;
დ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სურვილის დაქვეითება;
ე) პროფესიაში ახალი კადრების შემოდინების შეფერხება.

13. სახელფასო პოლიტიკით მე-15 საათის ღირებულება განისაზღვრება 206 ლარით, ხოლო 15 საათის შემდეგ იკლებს საათის ანაზღაურება.

გაუგებარია, რას ეყრდნობა მე-15 საათის განსხვავებული ტარიფი ან შემდგომ კლება.

14. სამუშაო გამოცდილებისა და განათლების ხარისხის დანამატი 15 საათის შემთხვევაში სრული სახით გაიცემა და ნაკლების შემთხვევაში - პროპორციული წესით. გამოდის, რომ ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში ნებისმიერი გამოცდილება და ხარისხი ეჭვქვეშ დგება.

15. მაღალმთიან რეგიონებში საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში 150 ლარით განისაზღვრება, ნაკლები საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში იკლებს პროპორციულად, რაც გაუმართლებელია.

ზემოთ განხილული პუნქტების გათვალისწინებით, მოვითხოვთ:

ა) უფროსი მასწავლებლის სტატუსის აღდგენას და სახელფასო დოკუმენტში ფუნქციური დანამატის განსაზღვრას;

ბ) უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების ფუნქციური დანამატი განისაზღვროს მათი შრომისა და მიღწეული კვალიფიკაციის შესაბამისად. აღდგეს სტატუსის დანამატის არსებული ოდენობა, რაც პედაგოგებისთვის არის პროფესიული კვალიფიკაციის თანამდებობრივი სარგო, შრომის დაფასება და თითოეული პედაგოგისთვის კარიერულ საფეხურზე წინსვლის მოტივაცია;

გ) საბაზო ხელფასის მატება შეეხოს მოწვეულ და მაძიებელ პედაგოგებს;

დ) დაწყებითი კლასების პედაგოგებს, რომელთაც მოეთხოვებოდათ მხოლოდ კომბინირებული გამოცდის (ქართულის, მათემატიკისა და ბუნების) ჩაბარება, საათობრივ ბადეში III-IV კლასებში მხოლოდ 13 საათი უფიქსირდებათ, ხოლო I-II კლასებში - 14 საათი. სამართლიანი იქნება აღნიშნული კატეგორიის მასწავლებელთა საბაზო ხელფასის 18 საათიანი დატვირთვის ღირებულებამდე გაზრდა;

ე) გაიზარდოს კლასის დამრიგებლის ანაზღაურება;

ვ) ახალ სახელფასო დოკუმენტში გათვალისწინებულ იქნას მცირესაათიანი საგნები: მოქალაქეობა, უცხოური ენები, კომპიუტერული ტექნოლოგიები;

ზ) მაღალმთიან რეგიონებში საჯარო სკოლის პედაგოგთა თანამდებობრივ სარგოზე დანამატი, მიუხედავად საათობრივი დატვირთვისა, განისაზღვროს 150 ლარით.

მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პედაგოგების უმრავლესობის სახელით გთხოვთ, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით გადაიხედოს არსებული ბრძანება და შემუშავდეს ახალი სახელფასო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა პედაგოგის შრომითი უფლებების დაცვას, მიღწეული

პედაგოგიური კვალიფიკაციის, უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსის სათანადოდ დაფასებას და სქემით განსაზღვრული დანამატის აღდგენას, რომელიც არ იქნება მიბმული საათობრივ ანაზღაურებასთან.

იმედი გვაქვს, გულისხმიერად მოეკიდებით ჩვენს თხოვნას.

პატივისცემით, საქართველოს მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის წევრები:

1) ეკა წულუკიძე

eSigned by: ეკა წულუკიძე: 4bb520cc-eaf3-4760-b650-4d13.... Certified by Signify

2) სალომე ფურცხვანიძე

eSigned by: სალომე ფურცხვანიძე: a73e83de-06ff-4ca5-959.... Certified by Signify

3) კახა გალდავა

eSigned by: კახა გალდავა: e39a69a1-5537-4c8a-9b5e-67ae.... Certified by Signify

4) მანანა მიქავა

eSigned by: მანანა მიქავა: 8fa230a3-2a0d-4218-b030-d070.... Certified by Signify

5) მზია კახაძე

eSigned by: მზია კახაძე: 7de357df-3ae1-4f74-b581-715b8f7.... Certified by Signify

6) როლანდ შავაძე

eSigned by: როლანდ შავაძე: b0dc88ef-0be4-4844-9a57-17.... Certified by Signify

7) ქეთი ცირეკიძე

eSigned by: ქეთი ცირეკიძე: d593932c-f5a8-450f-8c3f-e2b6.... Certified by Signify

8) ლალი მარგიანი

eSigned by: ლალი მარგიანი: 49530765-beee-4de7-b5bc-47.... Certified by Signify

9) ნინო გაბულდანი

eSigned by: ნინო გაბულდანი: 38f8951f-66e2-4a99-abaa-eb.... Certified by Signify

10) კობა შონია

eSigned by: კობა შონია: 3f05e458-c53b-474f-bb2b-8a238cc.... Certified by Signify

11) სოფიო ქუხილავა

eSigned by: სოფია ქუხილავა: 1289aeda-7788-40af-96aa-57.... Certified by Signify

12) ვლადიმერ აფხაზავა

eSigned by: ლადო აფხაზავა: 5dae0b2e-1f4d-4da3-8c0e-0b.... Certified by Signify

13) ხათუნა რაზმაძე

eSigned by:
ხათუნა რაზმაძე: 23a4ceac-de5c-4aca-8740-52b...
Certified by Signify

14) მარინე კვარაცხელია

eSigned by:
მარინე კვარაცხელია: 299447b8-39ca-4d9b-81....
Certified by Signify

15) ხათუნა ნოზაძე

eSigned by:
ხათუნა ნოზაძე: 7c59262e-5ff5-4ac6-b41e-3fe5....
Certified by Signify

16) ნადია დაბრუნდაშვილი

eSigned by:
ნანა დაბრუნდაშვილი: c76477eb-da7b-4080-a....
Certified by Signify

17) ქეთევან სეფიაშვილი

eSigned by:
ქეთევან სეფიაშვილი: 2dfb2c1a-50f4-4b50-b34....
Certified by Signify

18) ნესტან ხორხომელიძე

eSigned by:
ნესტან ხორხომელიძე: 777ea333-e2af-4b45-a2....
Certified by Signify

19) ნათია უჩავა

eSigned by:
ნათია უჩავა: 199d37ae-72ab-4dce-a978-c06a9f....
Certified by Signify

20) ნინო შუხოშვილი

eSigned by:
ნინო შუხოშვილი: 5046d278-734a-46d1-a3e6-7....
Certified by Signify

21) ნანა მარღანია

eSigned by:
ნანა მარღანია: b7ecdb25-990d-43c5-a7fc-8dc....
Certified by Signify

22) ნათია ნაფეტვარიძე

eSigned by:
ნათია ნაფეტვარიძე: f5ec79e4-c670-4129-a8bd....
Certified by Signify

23) ლელა წურწუმია

eSigned by:
ლელა წურწუმია: 1a49363c-c91c-4df6-94ad-5b1....
Certified by Signify

24) ნათია ნარსავიძე

eSigned by:
ნათია ნარსავიძე: 4e1005fd-7629-4619-a5ff-df0....
Certified by Signify

25) თეა ნონიკაშვილი

eSigned by:
თეა ნონიკაშვილი: e8129c72-8cf0-4dbd-a521-e....
Certified by Signify

26) თინათინ ზარდიაშვილი

eSigned by:
თინათინ ზარდიაშვილი: cdc44519-ca0c-430e-....
Certified by Signify

27) ქეთინო მერებაშვილი

eSigned by:
ქეთინო მერებაშვილი: e63c145f-601a-4afd-966....
Certified by Signify

28) გიორგი ჭაუჭიძე

eSigned by:
გიორგი ჭაუჭიძე: 821e9b24-7b3e-4662-8cbb-73....
Certified by Signify

29) ლაურა გოტიაშვილი

eSigned by:
ლაურა გოტიაშვილი: 4d0e7bdc-fb94-4f48-807f-....
Certified by Signify

30) გიტა თვალაბეიშვილი

eSigned by:
გიტა თვალაბეიშვილი: 2cb19950-97bb-4e38-b....
Certified by Signify

31) მარინე ხარიტონაშვილი

eSigned by:
მარი ხარიტონაშვილი: 8a935f69-ddad-4a9d-ab....
Certified by Signify

32) აზა ხანგოშვილი

eSigned by:
აზა ხანგოშვილი: c3624558-0b54-40c3-be14-ce....
Certified by Signify

33) მიხეილ ცქვიტავა

eSigned by:
მიხეილ ცქვიტავა: fccfeb91-2b93-4eed-8339-fd....
Certified by Signify

34) ნინო ფსუტური

eSigned by:
ნინო ფსუტური: bb7538ce-f6cf-4089-b8d7-f0f98....
Certified by Signify

35) სოფიო გოგოხია

eSigned by:
სოფო გოგოხია: 95fc6fce-9762-43dd-936e-5e74....
Certified by Signify

36) თემურ სუყაშვილი

eSigned by:
თემურ სუყაშვილი: 08aff322-6ad1-4624-a161-8f....
Certified by Signify

37) ნათია კურტანიძე

eSigned by:
ნათია კურტანიძე: 1a5db39f-e2f8-48b0-8144-1....
Certified by Signify

38) სალომე გოჩოლეიშვილი

eSigned by:
სალომე გოჩოლეიშვილი: 2c678ccc-a58f-4ebf-b....
Certified by Signify

39) დიმიტრი პოპოვი

eSigned by:
დიმიტრი პოპოვი: 2d76346d-4f8f-4045-9c6f-7ba....
Certified by Signify

40) თამარ ცანავა

eSigned by:
თამარ ცანავა: a04a41e4-06d3-427a-a6f9-2a415....
Certified by Signify

41) მიმოზა ღოლიჯაშვილი

eSigned by:
მიმოზა ღოლიჯაშვილი: c9899e35-d65c-4e12-b....
Certified by Signify

42) ნონა არევაძე-კოტორაშვილი

eSigned by:
ნონა არევაძე: 4e86df81-412b-4a71-860d-14c2....
Certified by Signify

43) ნათია მანია

eSigned by:
ნათია მანია: 05a73424-6f62-4cab-b78e-90db1....
Certified by Signify

44) მანუშაკ მკრტიჩიან

eSigned by:
მანუშაკ მკრტიჩიანი: d5ef7620-516d-48a4-8f50-....
Certified by Signify

45) ნუკრი კარკაძე

eSigned by:
ნუკრი კარკაძე: 99b34a4d-af39-4a50-be22-917....
Certified by Signify

46) ნინო ნიპარიშვილი

eSigned by:
ნინო ნიპარიშვილი: 6f98e97e-7320-4bda-85fc-....
Certified by Signify

47) თემურ შალამბერიძე

eSigned by:
თემურ შალამბერიძე: 2b1d27bc-7ecd-4bee-878....
Certified by Signify

48) თეონა შერაზადიშვილი

eSigned by:
თეონა შერაზადიშვილი: 82e0d6e8-e0cc-4369-....
Certified by Signify

49) მაია მენაბდე

eSigned by:
მაია მენაბდე: 1caddf7c-8e12-4cf4-be4b-4ed7b....
Certified by Signify

50) ანნა რეზესიძე

eSigned by:
ანნა რეზესიძე: fe013be3-124b-4e80-8f71-244a....
Certified by Signify

51) ირა ძირკვაძე

eSigned by:
ირა ძირკვაძე: 6db03b66-bac4-4884-a180-a9ce3...
Certified by Signify

52) ელისო აბრამიშვილი

eSigned by:
ელისო აბრამიშვილი: e85bb95e-8b8f-4693-8ca....
Certified by Signify

53) გიორგი ლიპარიშვილი

eSigned by:
გიორგი ლიპარიშვილი: 28d2eda1-97f1-4c73-8b....
Certified by Signify

54) ნათია ფურცელაძე

eSigned by:
ნათია ფურცელაძე: 4edbb0a2-911f-4ad7-bb5f-....
Certified by Signify

55) მანანა კაპეტივაძე

eSigned by:
მანანა კაპეტივაძე: 3f3f45fb-d765-4159-9252-1....
Certified by Signify

56) მაია ტყემალაძე

eSigned by:
მაია ტყემალაძე: 070afab4-ffc5-4861-a33a-5bd....
Certified by Signify

57) ინგა მოსიაშვილი

eSigned by:
ინგა მოსიაშვილი: fe960810-c1bb-4b45-8c7c-3f....
Certified by Signify

58) რევაზ მარგიანი

eSigned by:
რევაზ მარგიანი: f7dba1d0-729d-4c93-adc2-31....
Certified by Signify

59) ანა ძიძიგური

eSigned by:
ანა ძიძიგური: f242e3d4-f99a-4f92-8343-9ee5dff....
Certified by Signify

60) ლელა წიკლაური

eSigned by:
ლელა წიკლაური: 1a40937e-57c4-43ae-bc43-6....
Certified by Signify

61) ნატო სამხარაძე

eSigned by:
ნატო სამხარაძე: 298a152f-9ebb-4f14-9193-2e4....
Certified by Signify

62) ხატია მეკოკიშვილი

eSigned by:
ხატია მეკოკიშვილი: f2c0fd79-7019-46fb-ac4e-....
Certified by Signify

63) თეონა გვილავა

eSigned by:
თეონა გვილავა: c8f13ba9-7de8-470a-a8d3-922....
Certified by Signify

64) ნათია იაკობაძე

eSigned by:
ნათია იაკობაძე: 5e38f814-1561-45b9-8f85-d5d....
Certified by Signify

65) ანა კინწურაშვილი

eSigned by:
ანა კინწურაშვილი: 568ab62d-a4f5-4c48-8544-....
Certified by Signify

66) ნათია დავითაია

eSigned by:
ნათია დავითაია: eba13298-b39b-4deb-9efe-52....
Certified by Signify

67) თამარ გვიჭიანი

eSigned by:
თამარ გვიჭიანი: db9e3acd-6124-4a4b-b10e-51....
Certified by Signify

68) აკაკი ჯიყაშვილი

eSigned by:
აკაკი ჯიყაშვილი: 8a4d9df4-6bb5-4bfc-89e2-88f....
Certified by Signify

69) ფირუზა აფანდიევა

eSigned by:
ფირუზა აფანდიევა: fce710c2-0c75-417e-80ff-8....
Certified by Signify

თარიღი: 15.07.2024 წ.